კანონზომიერი დამარცხება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 13 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მინსკი) 1:2 (1:1).

თბილისი: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე, ჟიბა, ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ცაავა), ჟორჟიკაშვილი (გოგრიჭიანი), შენგელია.

მინსკი: კურბიკო, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, შიშკინი (ალექსეენკო), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, რუმბუტისი, ალეინიკოვი, გურინოვიჩი, სოკოლი (პუდიშევი).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს ჩივაძე და ბოროვსკი.

სიცხის გამო თუ იყო, რომ თბილისელებმა თავიდანვე დუნედ დაიწყეს თამაში და ფაქტიურად პირველ წუთებიდანვე გადააბარეს ინიციატივა მეტოქეს, იმ ფაქტმა, რომ ბელორუსელებმა მეტი მოახერხეს ამ მატჩში – მეტს მოძრაობდნენ, უფრო აგრესიულად თამაშობდნენ – თვალსაჩინოდ გამოავლინა მასპინძელთა ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზი: თბილისის “დინამოს” თითქმის ყველა ფეხბურთელის ფიზიკური მომზადების დონე ჩემპიონატის ამ ეტაპისთვის დაბალია. ერთადერთი, ვისაც საყვედურს ვერ ეტყვის კაცი, სულაქველიძეა.

მერე და მერე, რა თქმა უნდა, მინსკელებსაც შეეტყოთ დაღლა. იმათაც დაკარგეს გადაცემების სიზუსტე, მაგრამ გამძლეობაში საერთო უპირატესობამ მაინც თავისი ქნა. სტუმრებმა თბილისელთა კართან მეტი საგოლე მომენტიც შექმნეს, უფრო გააზრებულადაც თამაშობდნენ და საერთოდ, უნდა გვეყოს გამბედაობა და ვაღიაროთ: ეს მატჩი პირწმინდად წავაგეთ. აქვე მინდა ვთქვა ჩვენს კარში გასულ პირველ გოლზე და ჩვენი ახალგაზრდა მეკარის თამაშზეც. რუმბუტისის დარტყმული ბურთი, თქმა არ უნდა, ასაღები იყო. მაგრამ, ერთმა, თუნდაც დასანანმა გოლმა ასე არ უნდა გაგიტეხოს გული. იქიდან მოყოლებული კუცია ზომაზე მეტად ნერვიულობდა, შიშით ელოდა მეტოქის თითოეულ დარტყმას. გაშვებულ გოლს მაინც აღარაფერი ეშველება (ბოლოს და ბოლოს, რომელ, თუნცაც დიდ მეკარეს არ გაუშვია კურიოზული გოლები?), საქმისთვის კი უთუოდ ჯობს დაივიწყო ის უსიამო წამი და მშვიდად განაგრძო თამაში. ალბათ დამეთნხმება ახალბედა სპორტსმენი, რომ გრძნობების მოთოკვის სწავლა აქედანვეა საჭირო.

პირველ გოლზე უკვე ვთქვით. საპასუხო ბურთი მასპინძლებმა ტაიმის მიწურულს გაიტანეს. ფაქტიურად ეს იყო ერთადერთი გაელვება ამ მატჩში. რთულ ვითარებაში შენგელია კარგად გაერკვა და ლამაზად, ძლიერად და ზუსტად დაარტყა – 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებმა ერთხანს გაათანაბრეს თამაში, მაგრამ ეს იყო და ეს. მერე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ორივე გუნდს ხელს აძლევდა ფრე – თამაში დაწყნარდა, გაუფერულდა. თუმცა 85–ე წუთზე თბილისელ მცველთა ყურადღების მოდუნებით მყისვე ისარგებლა გურინოვიჩმა – 2:1.

ორიოდე სიტყვა მასპინძელთა ტაქტიკაზეც. მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ თბილისელები აგებდნენ თამაშს მინდვრის ცენტრში, საჭირო იყო ცვლილებები. ეს ცვლილებები მოხდა, მაგრამ მატჩის დასასრულამდე გაურკვეველი დარჩა ცაავას როლი. ამ ახალგაზრდა ნიჭიერმა ფეხბურთელმა ვერა და ვერ იპოვა თავისი ადგილი.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 16 ივლისი, 1983 წ.